



დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა
და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული
განათლების აღიარების წესი

წინამდებარე დებულება შედგენილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების და „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის დებულების საფუძველზე.

აღნიშნული დებულება არეგულირებს სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და, ასევე, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს.

მუხლი 1.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქეს.
2. დოქტორანტურაში მიღება წარმოებს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელსაც აცხადებს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი“.
3. სადოქტორო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მინიჭება ნიშნავს ჩარიცხულ სტუდენტთათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის სტუდენტთა ერთიან რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლი 2.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერება და მისი აღდგენა

1. სტატუსის შეჩერებად განიხილება, როგორც უნივერსიტეტის, ასევე სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისაგან დროებით განთავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) უნივერსიტეტში გამოუცხადებლობა
 - გ) ფინანსური დავალიანება;
 - დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობით;
 - ე) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლა;
 - ვ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევაში.
3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით პირი, რომელსაც სურს სტუდენტის სტატუსი აღიდგინოს მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით.
5. ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსი შეჩერებული პირის განცხადებას თან უნდა ახლდეს სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის ქვითარი.
6. უნივერსიტეტი განიხილავს განცხადებას და ფაკულტეტის წარდინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით აღუდგენს სტუდენტს სტატუსს, რომელშიც უნდა მიეთითოს, რომელი სასწავლო წლიდან და სემესტრიდან შეუძლია სტუდენტს განაახლოს სწავლა.

7. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ ბრძანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში აისახება სტუდენტთა რეესტრში.
8. უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, როგორც სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, ასევე მისი გადაჭარბებით. უკანასკნელ შემთხვევაში პროგრამაში ჩარიცხულ პირთა რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლებლის მიერ დადგენილი მისაღები ადგილების რაოდენობას.
9. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური აქტი (რომლის შედეგები ძალაში შედის გაცნობიდან 12 თვის შემდეგ) და მისი ხელახალი მოპოვება ხორციელდება წინამდებარე წესის გათვალისწინებით.

მუხლი 3.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სტუდენტის მიერ სასწავლებლის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და ხელშეკრულების პირობების დარღვევა.
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
 - დ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება;
 - ე) გარდაცვალება.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში აისახება სტუდენტთა რეესტრში.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით იმ შემთხვევაში, თუ მიმღები დაწესებულების წესდებას არ ეწინააღმდეგება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია მხოლოდ ღია კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მუხლი 4. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც სადოქტორო პროგრამის სტუდენტის სტატუსი მოიპოვა დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
2. მობილობის უფლება აქვს სადოქტორო პროგრამის სტუდენტს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.
3. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელმაც მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი წესით მოიპოვა სადოქტორო პროგრამის სტატუსი, მაგრამ ვერ მიმართავს მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით მისი უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის, ავტორიზაციის დაკარგვის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გამო.
4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
5. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა

სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

მუხლი 5. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

1. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.
2. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისა და სხვა უმაღლეს დაწესებულებაში გადასვლის საფასურის გადახდის შემდეგ.

მუხლი 6. უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.
2. თუ, საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე, მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების ხარჯზე.
3. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე და განცხადებას უნდა დაურთოს მიმღები დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტთა ნუსხით გათვალისწინებული დოკუმენტები.
4. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა

1. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
6. სადოქტორო პროგრამის მიზნებისათვის არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება.

7. უმაღლესი სასწავლებელი უფლებამოსილია გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

8. უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის სტუდენტის ან კურსდამთავრებულის მიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილის არსებობის შემთხვევაში:

უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კვალიფიკაციის ცნობა (აღიარება) ხდება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის, გაცემული დოკუმენტის აღიარებისა და განათლების ხარისხის ექვივალენტობის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და საქართველოს განათლების და მეცნიერებისა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

9. საბოლოო გადაწყვეტილებას, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის „დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში“ ჩარიცხვის თაობაზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტის ცნობის (აღიარების) საფუძველზე, იღებს უმაღლესი სასწავლებელი.

მუხლი 8. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტები

1. უნივერსიტეტი ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

2. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის #10/ნ ბრძანებით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დაკარგვის ან/და უფლებამონაცვლის გარეშე ლიკვიდაციისას სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის გაუქმების ან უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დაკარგვის ან/და უფლებამონაცვლის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში სტუდენტებს, უნივერსიტეტის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შუამდგომლობისა და სხვა უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მიეცემათ მობილობის საფუძველზე სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობა.